საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №46

2016 წლის 11ივლისი,
ქ. ბათუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ბსუ-ს წესდების შესაბამისად საქმიანობის წარმართვისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ემუხლის,8^{9}^{11}-ე მუხლის„„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის 2015 წლის 27 ნოემბრის კანონის (გამოქვეყნებული, 10/12/2015, სარეგისტრაციო კოდი 430020000.05.001.018008) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის„„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 14 ივნისის N70/ნ ბრძანების (გამოქვეყნებული - ვებგვერდი, 15/06/2016, სარეგისტრაციო კოდი 040030000.22.022.017144), საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, **მე-V^{1}თავის, 62^{1}-62^{5}, 63-ე მუხლების** საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დაა დ გ ინა:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2015 წლის 27 ნოემბრის საქართველოს კანონთან და მის საფუძველზე შემუშავებულ ბსუ-ს წესდებაში 2016 წლის 14 ივნისს შეტანილ ცვლილებებთან ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისათვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებში, მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან შემდგარი **სამეცნიერო საბჭოების** უფლებამოსილება ცნობილი იქნეს**2016 წლის 15 ივლისამდე**(წესდების 24^{3} -ე მუხლის პირველი პუნქტი);

გ) შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების დამტკიცებამდე,2016 წლის 15 ივლისიდანსამეცნიერო საბჭოს უხელმძღვანელოს (თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულოს) ამ საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით არჩეულმა წევრმა (წესდების 24[3] -ე მუხლის მე-4 პუნქტი);

გ)ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების **სამეცნიერო საბჭოების** უფლებამოსილების ცნობიდან (ჩამოყალიბებიდან) **არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირისა**,ინსტიტუტებმა წარმოუდგინონ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი **ერთეულებისდებულებების პროექტები;**

დ) აკადემიურ საბჭოში წარდგენილი ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებების **აკადემიური საბჭოს მიერ განხილვა და წარმომადგენლობითი საბჭოსათვის გადაგზავნაგანხორციელდეს არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირისა;**

ე) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საბჭოებმა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დირექტორების კანდიდატურების შესარჩევი კონკურსის ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების შესაბამისად ჩატარება და შერჩეული კანდიდატურის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა უზრუნველყონ **არაუგვიანეს 2016 წლის 15 ოქტომბრისა;**

ვ) ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მოქმედი დირექტორების უფლებამოსილება შეწყვეტილი იქნეს ამ ერთეულების დირექტორების თანამდებობებზე სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურების აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

ზ) უნივერსიტეტში 2015 წლის ივნისში ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეული **სამეცნიერო პერსონალის ატესტაცია ჩატარდეს 2016 წლის 1 დეკემბრამდე.ატესტაციის:**

ზ)[1]. **დადებითი შედეგების** საფუძველზე უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამდებობის პირებთან შენარჩუნებული იქნეს შრომითი ურთიერთობა მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების ვადით;
ზ)[2]. **უარყოფითი შედეგების** საფუძველზე სამეცნიერო თანამდებობის პირებთან 2016 წლის ბოლოს (2016 წლის 30 დეკემბერი) შეწყდეს შრომითი ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ვადით იყვნენ არჩეული ამ თანამდებობებზე.

თ) სამეცნიერო პერსონალის 2016 წლის 1 დეკემბრამდე ჩასატარებელი **ატესტაციის დროებითი წესი** აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავდეს და წარმომადგენლობით საბჭოს წარედგინოს დასამტკიცებლად არაუგვიანეს **2016 წლის 15 ოქტომბრისა** (ბსუ-ს წესდების 62[5]მუხლის მე-9 პუნქტი).

2. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო
ACADEMIC COUNCIL

3. კონტროლი ამ დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ ნათელა წიკლაშვილს.
4. დადგენილება მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ძალაშიშესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. #30).
6. დადგენილება ძალაში შედის ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის

თავმჯდომარე, პროფესორი გურამ ჩაგანავა

SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY ACADEMIC COUNCIL